მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №24(157) 2017 წ. 16-31 დეკემბერი ფასი 50 თეთრი

მილოცვა

დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ, ძვირფასო თანამოქალაქენო!

მშვიდობის, სიყვარულის, ერის გამთლიანების, აფხაზეთის, სამაჩაბლოს დაბრუნების, სიუხვის, შრომა-გარჯის დაფასების, ყველა პრობლემის მოგვარების წელი ყოფილიყოს ახალი – 2018 წელი.

აკვანთა სიმრავლე, სიკეთე, სიხარული, ხვავი და ბარაქა ყოფილიყოს თითოეული ოჯახის მეკვლე და მეგზური!

ერთად ვაკეთოთ საკეთებელი, ერთად შევეჭიდოთ და მოვაგვაროთ ყველა ის პრობლემა, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეულ მოქალაქეს ყოფაცხოვრებას გაუმჯობესებს! მაშ, ერთად დგომის, ერთად საქმის კეთების ყოფილიყოს წელი ახალი – 2018!

რომან მუჩიაშვილი,
საქართველოს პარლამენტის წევრი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი;
ოთარ ჩალათაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
გიორგი ერბოწონაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი.

რომან ზუკაკიშვილი

საახალწლო სადღეგრძელო

წელო ახალო, ნათელო, შენს მობრძანებას დიდება!
ცაში ვარსკვლავი, გულში მზე, სახლში სანთლები ინთება.
ერი და ბერი ვლოცულობთ, სუყველა ნატვრა აგვიხდეს,
ზღაპარში გაბრწყინებული შუქი ამშვენებს ნაძვის ხეს.

ყველგან ღიმილი, სიმღერა და სიყვარული გამეფდა,
სხვა ნეტარება რას მოვა ამ უნეტარეს წამებთან?..
მეკვლე მოვა და ქათქათა დღე სიხარულს ვერ დამალავს,
ხვავი, ბარაქა ჰქონოდეს ჩვენს სახლ-კარს, ბედელს და მარანს.

ღვინო კი არა, მწყურია – თქვენი სიცილი, ხმაური,
მარად ამკობდეს, ათბობდეს ჩვენს სულებს ეს სასწაული,
დღეო, ხატი ხარ წმინდა და არ მოგკლებოდეს მლოცველი
და შენს წინაშე ჩვენც ვიდგეთ ფიფქივით სუფთა ოცნებით.

ოცნებით, ახლა, რომელსაც არც თავი უჩანს არც ბოლო,
ღმერთო, მშვიდობით ამყოფე ჩვენი ლამაზი სამშობლო.
ჭეშმარიტი გზა გვაჩვენე ერთმანეთისკენ სავალი,
რომ მტერი გვყავდეს არც ერთი, მეგობარი კი – მრავალი.

ღვთიური სხივი მოჰფინე ჩვენს იმიერს და ამიერს,
დე, ყველა სახლში სიმღერა ისმოდეს მრავალჟამიერ!..

ინტერვიუ – პირველი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი
გიორგი ერბოწონაშვილი: –

„დაპირების ასრულების, წარმატების სურვილი ახალი გამოწვევებისათვის გვამზადებს“...

უკვე თვენახევარია მუშაობას შეუდგა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული მერი – გიორგი ერბოწონაშვილი. გიორგი საგარეჯოელია და იმ თაობის წარმომადგენელი, რომლის ყმაწვილკაცობის წლები საქართველოს გარდამავალ, ყველაზე მძიმე პერიოდს დაემთხვა – სტუდენტობის წლებმა უშუქობასა და ქართველთა გაუტანლობის ყველაზე მღელვარე, არასასურველ სიტუაციებში ჩაიარა. შემდეგ იყო დაძაბულობის, ძალადობის, აუტანელი ცხოვრების ამსახველი მომენტებიც. ამიტომ, თუ ვინმემ იცის და თანაც ძალიან კარგად, რა არის მშვიდობიან გარემოში შენება და საქმის კეთება, ეს მანაც კარგად იცის. გიორგი ბიზნესიდან მოვიდა, თანაც საკმაოდ სერიოზული ბიზნესიდან – ქართული, ტრადიციული მეწარმეობის დარგიდან. მუნიციპალიტეტის მერობამდე ის ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ საწარმოს – შპს „კახეთი-3000“-ს ხელმძღვანელობდა. ჩვენი ინტერვიუც სწორედ იმ სამუშაო რიტმიდან დაიწყო.

– გიორგი, ერთხელ კიდევ გილოცავთ ხალხის ნდობისა და პატივისცემის გამოხატვას – ნდობის გამოცხადებას და მუნიციპალიტეტის მერის რთული და საპასუხისმგებლო პოსტზე არჩევას. მოდით, ჩვენი საუბარი ახლო წარსულიდან დაიწყოთ – როგორი იყო თქვენთვის ერთი ჩვეულებრივი დღე?

– მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს ამომრჩეველს – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თითოეულ მოქალაქეს. გეტყვით, რომ ვეცდები ნდობა და იმედები ჩემი პასუხისმგებლობით გავამართლო. ჩემი ერთი ჩვეულებრივი დღე 13 ნოემბრამდე, და საერთოდ, არჩევნების დაწყებამდე, არასდროს იყო ჩვეულებრივი. ყველა ჩემთვის ერთნაირად არაჩვეულებრივი იყო, რადგან როცა საქმე ბიზნესს ეხება, როცა ხედავ, რომ საერთაშორისო ბაზარზე ყოველდღიურად იზრდება შენი კონკურენტის შესაძლებლობები, როცა საკუთარი თვალით ხედავ კონკურენციის შედეგებს, ყოველდღიური ცხოვრება არ შეიძლება იყოს ჩვეულებრივი. ყოველი დღე ჩემთვის დატვირთული იყო. ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელი საწარმო, მის მიერ გამოშვებული პროდუქცია, რომელსაც საშინაო თუ საერთაშორისო ბაზარზე გასვლის პრეტენზია აქვს, ჩვენი ქვეყნის – საქართველოს სახეა და მას ყოველდღიურად დახვეწა და ოსტატის, შემოქმედის ხელი სჭირდება. ასევე, ყოველდღიურად იხვეწება ტექნოლოგიები. ახალ ტექნოლოგიებს, ახალ გამოწვევებს – ყველაფერ ამას კი ფეხის აწყობა სჭირდება და ეს ყველაფერი მართლაც მადალ გემოვნებაზეა გათვლილი – როგორს, რა სახით მიაწვდი შენს პროდუქციას მომხმარებელს, ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ... ხშირად მიწევდა ევროპის ქვეყნებში საქმიანი ვიზიტები.

– და რას გვეტყვით დღევანდელ დღეზე?

– ამ შემთხვევაშიც უდიდესი პასუხისმგებლობაა არა მარტო ამომრჩევლის მიმართ, ვინც ხმა მომცა, არამედ ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული მოქალაქის მიმართ. ახლაც არ არის ჩემთვის ყოველი დღე ჩვეულებრივი, ის უკვე მეტი პასუხისმგებლობითაა დატვირთული. ვფიქრობ, ჩვენ, ჩვენი გუნდი, ჩვენს მოსახლეობასთან ერთად ყველანაირ პრობლემას გავუმკლავდებით – მოვაწესრიგებთ ინფრასტრუქტურას, ხელს შევუწყობთ დასაქმებას, ახალგაზრდობის სწორ დაკვალიანებას, გვექნება ახალ-ახალი გამოწვევები, სპორტის, კულტურის, განათლების, სკოლამდელი აღზრდის სფეროებში.

– სპეციალობით ეკონომისტი ხართ, როგორ აირჩიეთ ეს პროფესია?

– არჩევანის გაკეთებაზე, რა თქმა უნდა, გავლენა მამაჩემის პროფესიამაც იქონია, მაგრამ მე თავადაც მაინტერესებდა საბანკო საქმე. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ვმუშაობდი ბანკში – პროფესიის პრაქტიკულად გასაცნობად.

– რას ნიშნავს თქვენთვის ოჯახი, რას გვეტყვით თქვენი ოჯახის შესახებ?

– ოჯახი წმინდათაწმინდა, ცოცხალი ორგანიზმია ჩემთვის – უფლისგან ნაკურთხი, რომელსაც თითოეული ჩვენი ოჯახის წევრი უნდა მოუფრთხილდეს. ჩვენი ოჯახი 15 წლისაა. მეუღლე – მაიკო უსუფაშვილი პროფესიით პიარ-მენეჯერია, მუშაობს საპასუხისმგებლო პოსტზე, არის სს „საქრუსენერგოს“ ქონების მართვისა და კორპორატიული ურთიერთობების გან-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 დეკემბრის რიგგარეშე ***სხდომას ამავე საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ჩალათაშვილი*** უძღვებოდა. დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ საკრებულო მუშაობას შეუდგა და საკითხების განხილვის შემდეგ მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებებიც. კონკრეტულად:

– ვადამდე უფლებამოსილება შეუწყდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს პაატა ასრათაშვილს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის II მოადგილედ დანიშვნის გამო.

– ცვლილება შევიდა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №22 დადგენილებაში

– მოსმენილ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის I, II და III კვარტლის ბიუჯეტის შესრულება.

– ცვლილებები შევიდა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №23 დადგენილებაში.

– ცვლილებები შევიდა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში;

– ცვლილებები შევიდა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №27 დადგენილებაში.

– ცვლილებები შევიდა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №29 დადგენილებაში.

– ასევე, დამტკიცდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულება, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულება, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულება, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის დებულება, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულება, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის დებულება.

– ცვლილებები შევიდა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ამ დოკუმენტების ფორმებისა და ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მაისის №7 დადგენილებაში;

– დამტკიცდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. საგარეჯოში ერეკლე მეორის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდით: 55.12.52.022) განთავსებული შენობა-ნაგებობის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის ფორმით გადაცემა.

– მოწონებულ იქნა 2018 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი რეგიონული და მთის ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტები.

– დაფუძნდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საკრებულოს წევრი ალექსი იოსელიანი.

ასევე, დაფუძნდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საკრებულოს წევრი, ალექანდრე მეზვრიშვილი.

---

26 დეკემბერი, 2017 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ***ამავე საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ჩალათაშვილი*** უძღვებოსა. სხდომას საკრებულოს 31 წევრი ესწრებოდა.

ცნობად იქნა მიღებული ზურაბ ჭიკაძის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

საკითხზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა ხატუნა ყორღანაშვილმა. საკმაოდ საფუძვლიანად იქნა განხილული აღნიშნული საკითხი. აზრი გამოთქვეს საკრებულოს წევრებმა გარსევან ბუხნიკაშვილმა და ივანე ბეჟიაშვილმა. დასმულ შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა ხათუნა ყორღანაშვილმა, ხოლო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, არქიტექტურის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსმა გიორგი ქურდოვანიძემ.

ასევე, სხდომაზე მოსმენილ და განხილულ იქნა საკითხები:

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2018 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“; „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“; „საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 2018 წელს განსახორციელებელი რეგიონული პროექტები“; „მუნიციპალური ნარჩენების მართვის (2018-2022 წლების) გეგმა“; „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების შესახებ“, „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №56 განკარგულებაში ცვლილებების შეტანა“; „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №51 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე; „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №52 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე; „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №53 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე; „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №55 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერისთვის შპს „საგარეჯოს აგრარული ბაზარი“-ს დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ; მედიაპროექტ „ეტალონში“ გამარჯვებულ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოს საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე ტატო ჩართოლანისათვის სტიპენდიის მიცემის შესახებ;

განხილულ საკითხებზე საკრებულოს წევრებმა მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციები

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე

ელდარ მეფარიძე



დაიბადა 1964 წელს

განათლება – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ფაკულტეტი – გეოლოგიური, კვალიფიკაცია – სამთო ინჟინერი (1985-1990წწ).

სამუშაო გამოცდილება: მცირე საწარმო „აისი“ – ბუღალტერი (1990-1995წწ); ფერმერული საქმიანობა (1987-2010წწ), საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული (2012-2014წწ); საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (2014-2017წწ); 2017 წლის ნოემბრიდან დღემდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეა.

ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე

ალექსანდრე მეზვრიშვილი

დაიბადა 1962 წელს

განათლება: საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი, სპეციალობა – ზოოტექნიკოსი, მაგისტრთან გათანაბრებული.

სამუშაო გამოცდილება – გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსის ბრიგადის ზოოტექნიკოსი (1984-1988წწ); იმავე კომპლექსში ზოოტექნიკოსი დამზადების დარგში (1988წ); კომპლექსის სასაკლაოს ტექნიკოსი (1988-1993წწ); საგარეჯოს ღვინის ჩამომსხმელი საამქროს მენეჯერი (2002-2003წწ); „აგრო ფირმა -მანავის“ ღვინის ჩამომსხმელი საამქროს მენეჯერი(2002-2003წწ); საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (2014-2017წწ); 2017 წლის 6 დეკემბრიდან დღემდე არის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე.

ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე

ალექსი იოსელიანი

დაიბადა 1967 წელს

განათლება: თბილისის ტექნიკური ინსტიტუტი, კვალიფიკაცია – ინჟინერი (1985-1990წწ); პოლიციის აკადემია – კვალიფიკაცია – სამართალმცოდნე, იურისტი (1991-1996წწ).

სამუშაო გამოცდილება: თავდაცვის სამინისტრო, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში მდებარე დამხმარე საცდელი მეურნეობის დირექტორი (2000-2003წწ), კერძო ბიზნესი (2004-2012წწ); 2014 წლიდან დღემდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარეა.

ინტერვიუ – პირველი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერბოღონაშვილი: –

„დაპირების ასრულების, წარმატების სურვილი ახალი გამოწვევებისათვის გვამზადებს“...

გაგრძელდება. საინტერესოა, რა პროექტები განხორციელდება მომავალში?

– დიახ. ჩვენს მუნიციპალიტეტში მართლაც დიდი პროექტებია განხორციელებული. ჯერ მარტო სოფელ უდაბნოში სასმელი წყლის ახალი მაგისტალის გაკეთება რად ღირს. აქაურები ათეული წლების განმავლობაში უწყლობით შეწუხებულები იყვნენ. ასევე, საამაყოა ისეთი პროექტების განხორციელება, როგორიცაა სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია. ჩვენი მუნიციპალიტეტი სოფლის მეურნეობის პროფილისაა, თუ წყალი არ იქნა, ძნელია ვისაუბროთ, ან იმედი გვქონდეს ჩვენთან სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების ხელის შეწყობასა და შემდგომ განვითარებაზე. წელს ჩვენმა მევენახეებმა 18 700 000 ლარის ყურძენი მარტო ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ საწარმოებს მიჰყიდეს და რაც ბაზარზე გაყიდეს, ის სხვაა. ვაზის მოვლა კი სარწყავი წყლის გარეშე შეუძლებელია ჩვენს კლიმატურ პირობებში. ასეთივე აუცილებლობაა სავარგულებამდე მისასვლელი გზების მოწესრიგების საკითხიც. სახე იცვალა ჩვენმა სოფლებმა: ამშვენებს გზები – მოასფალტებული, მოხრეშილი. ასევე, გარე-განათებით, სანიაღვრე არხებით. თვალს უხარია მინი სპორტულ მოედნებზე ახალგაზდების სიმრავლე... მაგრამ... გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს...

დავიწყოთ ***რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებითა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განსახორციელებელი პროექტების*** ირგვლივ საუბარი. ეს პროექტები კვლავ მოსახლეობისათვის ნორმალური გადაადგილებისა და მოწესრიგებული სოციალური ყოფისთვისაა გათვალისწინებული. დღის წესრიგში დგას კვლავ გზების, ქუჩების, ხიდ-ბოგირების, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, გარე განათების მოწყობა, ზრუნვა სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელებზე.

მაშ, ასე:

კარგად მოგეხსენებათ, რომ **კოჯბანში** გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის მართლაც საკმაოდ კარგი შენობა აშენდა, მაგრამ, იქ კონტიგენტი იმდენად შემცირდა, რომ სკოლის ახალ შენობაზე აღარ უზრუნიათ და იმ შენობაში სკოლა შევიდა. ასე, რომ იქაური თემის სოფლების ბავშვებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება არ აქვთ. როგორც ცნობილია, ზოგიერთ მშობელს შვილი უჯარმის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დაჰყავს. მოგეხსენებათ, მანძილი – ათეული კილომეტრითაა ერთმანეთისგან ეს ორი სოფელი დაშორებული. ამიტომაც მოხდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მოწყობა, რისთვისაც ჩვენი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 4000 ლარი მიიმართება, ხოლო რეგიონული განვითარების ფონდიდან – 76000 ლარი. აქვე აღვნიშნოთ, რომ კოჯბანს „მთის კანონიც“ შეეხო, რაც კიდევ უფრო მეტ სიკეთეს ჰპირდება აქაურებს.

არც სოფელ **სათაფლეს** 145 მცხოვრებს ჰქონდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პრობლემა მოხსნილი. აქ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან შეწყდა ამ კუთხით მუშაობა. ამიტომ აქაურებს ბავშვები სართიჭალის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დაჰყავთ, ან იძულებული გახდნენ, მიეტოვებინათ სოფელი. მიგრაციამ კი მძიმე კვალი დატოვა აქაც და კოჯბანის თემის სოფლებშიც. მაგრამ, რადგან ორივე სოფელს შეეხო „მთის კანონი“, ეს იმას ნიშნავს, რომ მიგრაციაში მყოფები ისევ დაუბრუნდებიან თავიანთ კერიებს... სათაფლეში საბავშვო ბაღის შენობის მოსაყობად სულ 270000 ლარია გათვალისწინებული, აქედან ჩვენი მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება 13500 ლარი იქნება, ხოლო 256500 ლარით პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან განხორციელდება.

სარეაბილიტაციო სამუშაოებია ჩასატარებელი საგარეჯოს მეხუთე საბავშვო ბაღის შენობაშიც, რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში გაიხსნა. მაშინ აქ საკავშირო მნიშვნელობის მეცადინეობები ტარდებოდა, ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი საჩვენებელი საბავშვო ბაღი იყო, მაგრამ აქ ყველაფერი თავიდანაა გასაკეთებელი. ერთი ეგ არის, რომ გათბობა არის და მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა, დანარჩენი კვლავ „კომუნისტების დროინდელია“. აქ 110 აღსაზრდელზეა შენობა გათვალისწინებული მის სარეაბილიტაციოდ კი 300000 ლარია გათვალისწინებული. აქედან, 285000 რეგიონული განვითარების ფონდიდან მიიმართება, დანარჩენი 15000 კი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

ჩვენს მუნიციპალიტეტში საკმაოდ წარმატებული ახალგაზრდები, მომავალი თაობა გვყავს. მათ ჯანსაღი სპორტული გარემოს შექმნა სჭირდება. ამიტომაცაა გათვალისწინებული მინი სპორტული მოედნების, მინი სტადიონების მოწყობა, სპორტული ინფრასტრუქტურის თანამედროვე დონეზე აყვანა. კონკრეტულად, ქ. საგარეჯოში დაწყებულია და კვლავაც გაგრძელდება საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია, რომელიც პირველად 1962 წელს მოეწყო. ათეული წლებია იგი დიდ საფრთხეს უქმნიდა აქ მოვარჯიშეთა ჯანმრთელობას – ამორტიზირებულ მოედანზე მართლაც საფრთხის მომტანი იყო თითოეული ვარჯიში. აქვეა გათვალისწინებული სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები და პროექტის ღირებულება სულ 533412 ლარია, საიდანაც 26670 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ხოლო 506742 ლარი კი – რეგიონული განვითარების ფონდიდან.

50 ათასი ლარი მიიმართება კოჯბანში მინი სტადიონის მოსაწყობად, რომელშიც 2500 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან იქნება, ხოლო 47500 – რეგიონული განვითარების ფონდიდან. ასევე, 50000 ლარი მიიმართება გომბორში სტადიონის მოსაწყობად და თანხებიც შესაბამისად გადანაწილდება – 2500 ლარი ჩვენი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყოფა.

მნიშვნელოვანი პროექტებია გათვალისწინებული ქ. საგარეჯოსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების მოსაწესრიგებლად. ასე,მაგალითად,ქ. საგარეჯოში ცენტრალურ ქუჩებთან დამაკავშირებელი შიდა გზების მოასფალტებაა გათვალისწინებული. ასეთებია: მარჯანიშვილის ქუჩა, მამისაშვილის I და III შესახვევის ქუჩები, ჩოლოყაშვილის, თავისუფლების, ლესელიძის ქუჩები. სულ 5 ქუჩის მოასფალტებაზე 350000 ლარი იქნება მიმართული, აქედან – 332500 – რეგიონული განვითარების ფონდიდან, ხოლო თანადაფინანსება ჩვენი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან – 15000 ლარით.

350000 ლარითაა დაფინანსებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ხაშმში ცენტრალური ავტომაგისტრალიდან შესასვლელი ამორტიზებული, დაზიანებული გზის მოსაწესრიგებლად. აქ ჩვენი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 17500 ლარი მიიმართება.

პატარძეულში, ე.წ. „ჩიხლაანთ უბნის“ გზის მოასფალტებაზე 449980 ლარია გამოყოფილი, საიდანაც 427481 ლარი რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდება, თანადაფინანსება 22499 ლარისა კი მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

სოფლების დუზაგრამა-თულარის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება, რომლითაც 16871 აქაური მცხოვრები სარგებლობს, ბევრად გაუადვილებთ მათ გადაადგილებას. აღნიშნული პროექტის საერთო ღირებულება კი 882455 ლარია, საიდანაც 838333 ლარი რეგიონული განვითარების ფონდიდან იქნება გამოყოფილი, 44122 კი – ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ასევე, 1700 ადამიანს გაუადვილებს გადაადგილებას სოფლების ვერხვიანი-ყანდაურის დამაკავშირებელი გზა, რომელიც ისეა ამორტიზებული, ავტომანქანებით გადაადგილება უკვე უკიდურეს შეთხვევაში თუა შესაძლებელი. პროექტზე 198000 ლარი გაიხარჯება, საიდანაც 188100 ლარი რეგიონული განვითარების ფონდიდანაა, ხოლო 9900 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

სოფელ მანავში გადასასვლელი ხიდის პროექტის განხორციელებაში 183940 ლარი გაიხარჯება. ამ ხიდით 4000 ადამიანი ისარგებლებს. რეგიონული განვითარების ფონდიდან 174743 ლარი გაიხარჯება, ხოლო თანადაფინანსება 9197 ლარით ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოხდება.

ჩვენს მუნიციპალიტეტში დაწყებულია და კვლავაც გაგრძელდება გარეგანათების მოწყობა. ასე, მაგალითად, კოჯბანში გარეგანათებაზე 30000 ლარია მიმართული, საიდანაც 85500 ლარი რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით მოხდება, ხოლო 1500 ლარი – ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ამ განათებით აქაური 150 მოსახლე ისარგებლებს.

რაც შეეხება გომბორში გარე განათების მოწყობას, აქ 920 ადამიანს გაუუმჯობესდება საყოფაცხოვრებო პირობები. პროექტის რეალიზაციისათვის 90000 ლარია გათვალისწინებული, საიდანაც 85500 ლარს რეგიონული განვითარების ფონდი გაიღებს, 4500 ლარს კი ადგილობრივი ბიუჯეტი.

საგარეჯო თბილისთან ახლომდებარე მუნიციპალიტეტია, რომელიც მდიდარია ისტორიულ-მატერიალური ძეგლებით. მართალია, დამთვალიერებელს ასეთი ადგილები უფრო აინტერესებს, მაგრამ არც თანამედროვე ტურისტული ობიექტი „ციე-გომბორის გადმოსახედი“ იქნება ნაკლებსაინტერესო მათთვის. სწორედ ასეთი ტურისტულად მნიშვნელოვანი და აქტიური ზონის მოსაწყობად ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის 400000 ლარი იქნება გახარჯული, საიდანაც 380000-ს რეგიონული განვითარების ფონდი გაიღებს,20000 ლარს კი ადგილობრივი ბიუჯეტი.

მინდა გითხრათ, რომ 2018 წლისათვის (გამოვთქვამ იმედს, რომ ამ პროექტებს სხვა მნიშვნელოვანი პროექტებიც დაემატება) რეგიონული განვითარების ფონდიდან ჯერ-ჯერობით 15 პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი, რაც 4217788 ლარის სამუშაოების შესრულებას ითვალისწინებს. აქედან 4006899 ლარი გამოყოფილია რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებლად, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 208389 ლარი იქნება მიმართული. ამ პროექტების შესრულებით კი ჩვენი მუნიციპალიტეტის 51209 მცხოვრებთან ერთად სხვა მუნიციპალიტეტების მცხოვრებლებიც ისარგებლებენ.

რაც შეეხება მომავალი – 2018 წლის განმავლობაში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელ პროექტებს, კვლავაც პრიორიტეტული საკითხები იქნა აქ გათვალისწინებული. კონკრეტულად კი:

– ქ. საგარეჯოში, კახეთის ქუჩის მოასფალტების სამუშაოების შესასრულებლად 380000 ლარი იქნება მიმართული;

– ქ. საგარეჯოში, დოდაშვილის ქუჩის მოასფალტებაზე 170000 ლარი;

– ქ. საგარეჯოში, არაყიშვილის ქუჩის მოასფალტებაზე – 200000 ლარი;

– ქ. საგარეჯოში არსებული კოსტავას ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსების ეზოს ასფალტის მოწყობაზე – 90000 ლარი;

– საგარეჯო-ნინოწმინდის დამაკავშირებელ გზაზე გარე-განათების ღედი

დასასრული მე-4 გვერდზე

გაგრძელება

ყოფილების პიარ-მენეჯერი. ჩვენ სიყვარულით შევქმენით ოჯახი. ჩვენი შვილი – სანდრო ბრიტანული წმინდა ნიკოლოზის სახელობის სკოლის მეორეკლესელია უკვე. დაინტერესებულია ფეხბურთით და საკმაოდ სერიოზულადაც. ისევე, როგორც ყველა ქართველ მამაკაცს და არა მარტო ქართველს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მაქვს მეუღლისა და შვილის მიმართ, ჩემი მშობლების, ბებიის, ჩემი ძმის მიმართ. ჩვენი ოჯახი სახელმწიფოს შემადგენელი პატარა უჯრედია, რომელსაც მოფრთხილება სჭირდება და სრული პასუხისმგებლობით მინდა გითხრათ, რომ მართლაც მთელი არსებითა და სერიოზულობით ვუფრთხილდები.. ოჯახი ტრადიციებისა და თანამედროვეობის მოთხოვნების ფაქიზ შერწყმა-სინთეზს ითხოვს, ამდენად ჩვენც ვართ ტრადიციული ქართული ოჯახი და ვიღებთ ყოველივე ახალს, ჯანსაღს.

– რა გჭირდებათ სრული კომფორტისათვის?

– თავისუფლება და გარშემომყოფთა სიყვარული სულიერ სიმშვიდეს, სრულ კომფორტს მაძლევს.

– რეალისტი ხართ თუ რომანტიკოსი?

– რეალისტი. დღევანდელი ცხოვრება ხომ ამას მოითხოვს?!

– გწამთ ღმერთის? დადიხართ ეკლესიაში? ვინ არის თქვენი მოძღვარი?

– როგორ არ მწამდეს, როცა ბავშვობიდანვე ვიცი, უფლის ნების გარეშე ფოთოლი არ ვარდება ხიდანო. კი. ეკლესიაში დავდივარ (რა თქმა უნდა შეძლებისდაგვარად) მოძღვარი მდვდელი გიორგი გეთიაშვილია – თბილისის ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარი.

– თქვენს ხასიათში რომელია ძლიერი და რომელი სუსტი მხარე?

– ძლიერი – მეგობრობის მწამს და მჯერა და მართლაც, ჩემი გარემოცვა, ჩემი მეგობრები – ჩემი სიძლიერეა. ძალიან დიდი დოზით განვიცდი, თუ ჩემს მეგობრებში ვინმეს რამე „შეეშალა“... სუსტი – სიბრალულის გრძნობა, რაც მართლაც სუსტი წერტილია ჩემი – მეცოდება ავადმყოფი, გაჭირვებული ადამიანი, უპატრონო ცხოველიც კი...

– როდის გრძნობთ თავს ბედნიერად?

– როცა ვეხმარები ვინმეს, თუნდაც სიტყვიერად.

– რას ვერ აპატიებთ ადამიანს?

– ორპირობას, ღალატს, მიცემული პირობის შეუსრულებლობას, ერთი სიტყვით – უპასუხისმგებლობას...

– რას უსურვებთ საკუთარ თავს?

– რა ვიცი, რა გითხრათ – ამ შემთხვევაში ჩემთან ერთად, ჩემს გვერდში მდგომებსაც და ჩვენს მოსახლეობასაც ვუსურვებდი გაძლერებას სულიერებაში და იმ მიზნის მიღწევას, რაც ერთად დავისახეთ და რის განხორციელებასაც 2018 წლის იანვრიდან ერთობლივი ძალებით უნდა შევუდგეთ...

– წარმატებებს გისურვებთ დასახული მიზნების განხორციელებისათვის. ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის არც შემდეგი პასუხები იქნება ინტერესმოკლებული.

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ბოლო სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა – წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების ხარისხი, ნაწილობრივ მოწესრიგდა საკანალიზაციო, სარწყავი სისტემები,სანიაღვრე არხები,ჩატარდა მდინარის ხევების ნაპირსამაგრი სამუშაოები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა, კეთილმოეწყო, ასფალტის საფარით დაიფარა, მოიხრეშა გზები, ქუჩები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხიდებს, მოეწყო ხიდ-ბოგირები, გარეგანათება გაკეთდა ისეთ ქუჩებში, სადაც არ ყოფილა საერთოდ, რემონტი ჩაუტარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, საექიმო ამბულატორიებს,გაიხსნა საექიმო მედპუნქტები, მოეწყო სპორტული მოედნები, სკვერები, გზები გაკეთდა სავარგულებამდე, მოეწყო რიტუალების სახლები, შემოიღობა სასაფლაოები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფლიდან სასაფლაოებამდე მისასვლელ გზებს, მოეწყო მოსაცდელი მგზავრებისათვის,გაზიფიცირება გაკეთდა სოფლებში,თუმცა ეს სამუშაოები დღესაც გრძელდება და სამომავლოდაც ალბათ*

№24(157) 2017 წელი, 16-31 დეკემბერი

დასასრული

განათებით ამოცვლაზე – 35000 ლარი;

– სოფელ გიორგიწმინდის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციაზე – 40000 ლარი;

– ქ. საგარეჯოსა და სოფელ ნინოწმინდაში სანიაღვრე არხების მოწყობაზე – 35000 ლარი;

– სოფელ წყაროსთავში ჭაბურღილის მოწყობაზე – 25000 ლარი;

– ქ. საგარეჯოს ე.წ. რკინიგზის სადგურის დასახლების ზედა უბანში ჭაბურღილისა და რეზერვუარის მოწყობაზე – 40000 ლარი;

– სოფელ ანთოკში გარე განათების მოწყობაზე – 10000 ლარი;

– სოფელ პატარძეულში გოგლა ლეონიძის სახლ-მუზეუმამდე მისასვლელი გზის მოასფალტებაზე – 50000 ლარი;

ასე, რომ როგორც ზემოთ საუბარში აღვნიშნეთ, მომავალ წელს კვლავაც გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია და რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ამასთან, დასრულდება და საბოლოო სახეს მიიღებს ის პროექტები, რომლებიც 2017 წელს დაიწყო, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

ინტერვიუ – პირველი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერბოწონაშვილი: –

„დაპირების ასრულების, წარმატების სურვილი ახალი გამოწვევებისათვის გვამზადებს“...

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ქალაქ საგარეჯოსა (ყოველდღიურად)და მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავებას, ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას, რომელიც კვირაში ორჯერ-სამჯერ განხორციელდება არსებული გრაფიკის მიხედვით. კონკრეტულად, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ საგარეჯოს 49 ქუჩიდან, სოფლების – გიორგიწმინდის, ნინოწმინდის, წყაროსთავის, პატარძეულის, თოხლიაურის, მანავის მოსახლეობიდან, ფიზიკური და იურიდიული პირებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ორ დღეში ერთხელ; სოფელ ხაშმიდან, სოფელ დიდი ჩაილურიდან და სოფელ პატარა ჩაილურიდან სამ დღეში ერთხელ მუნიციპალიტეტის დარჩენილი სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ნაგვის გატანა მოხდება კვირაში ორჯერ მუნიციპალიტეტის ნაგავმზიდი მანქანებით; ასევე, განხორციელდება ქ. საგარეჯოს ცენტრალური ქუჩების და მოედნების დაგვა-დასუფთავება, წყალსადინარი არხების გაწმენდა ქ. საგარეჯოში, სოფლების – გიორგიწმინდისა და ნინოწმინდის ცენტრალურ ქუჩებზე, საგარეჯოში არსებული ე.წ. მდინარე ტიკიაურის სანიაღვრე არხის გაწმენდა და მოვლა-პატრონობა. ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის ახალი ბუნკერების შეძენა, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბაღების, სკვერების, გაზონების მოვლა-პატრონობა.



გაზაფხულსა და შემოდგომაზე ჭარბი ნალექების გამო აუცილებელი ხდება ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხევების კალაპოტების ნატანისაგან გაწმენდა, რათა თავიდან ავიცილოთ მოსახლეობის კუთვნილი საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვა, არ მოხდეს რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალის ნაწილობრივი დატბორვა (ასეთი შემთხვევები მიმდინარე წლის გაზაფხულსა და ზაფხულში უკვე იყო).

ჩვენი მოსახლეობის ყოველდღიურობაში არსებითი მნიშვნელობა აქვს სასმელი წყლით მომარაგების საკითხს. ამიტომაც, კვლავაც პრიორიტეტული იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების ნორმალიზებისათვის სათავე-ნაგებობების, ქსელების მოვლა-შენახვა, ექსპლოატაცია, შიდასაუბნო და ცენტრალური ქსელების, სატუმბი სადგურების დარეგულირება, რეცხვა-დასუფთავება სადეზინფექციო საშუალებებით, წყლის საანალიზო სინჯების აღება არსებულ სანიტარულ ნორმებთან მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით და რა თქმა უნდა, ამ სისტემის მიმდინარე შეკეთების სამუშაოების ჩატარება.

ჩვენს საუკუნეში პრობლემას აღარ უნდა წარმოადგენდეს ღამის განმავლობაში მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება. ამის აუცილებელ პირობას კი ჩვენი მუნიციპალიტეტის ქუჩების განათება წარმოადგენს. ამიტომაცაა გათვალისწინებული გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია და არსებული ნათურების ნაწილის შეცვლა ახალი დიოდური და ლედი სანათებით ამოცვლა.

– წარმატებებს გისურვებთ! წინ მართლაც დიდი გამოწვევებია.

– გმადლობთ. ამ გამოწვევებს ჩვენ ჩვენი თავდაუზოგავი მუშაობით ვუპასუხებთ.

ჩვენს ამომრჩევლებთან მიცემული დაპირების ასრულების, წარმატებების სურვილი ახალ-ახალი გამოწვევებისათვის გვამზადებს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაზეთის საშუალებით მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. სიკეთე, სიხარული, ჯანმრთელობა ვუსურვოთ მათ.

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგარეჯოს რესურსცენტრის დირექტორი

მანანა ცუცქირიძე:

„ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში საუკუნის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს“...

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 26 საჯარო სკოლაში 424 საფინანსო კლასია, 7442 მოსწავლეა, რომელთაგან პირველკლასელია – 770, მეთორმეტეკლასელი – 405. გასულ წელს სკოლა 399 მოსწავლემ დაამთავრა, მათგან მედალოსანი იყო 25.

ჩვენი მოსწავლეები სწავლა-აღზრდას 814 პედაგოგი ემსახურება, მათგან 225 სერტიფიცირებულია. ჩვენი სკოლების პედაგოგები ჩაბმული არიან სხვადასხვა პროექტებში. კონკრეტულად, თავისუფალი გაკვეთილები, რომელშიც 26 საჯარო სკოლიდან 24 სკოლაა ჩართული, ასევე, პროექტებში: „იმიტირებული სასამართლო, წერის კონკურსი, Flex-ის კონკურსი, მილენიუმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სკოლის დირექტორისა და პედაგოგების პროფესიულ განვითარებას, პედაგოგებს უტარდებათ ტრენინგები. ასევე, ხორციელდება დაწყებითი განათლების განვითარება – პედაგოგთა პროექტი, რომლის ფარგლებშიც ტარდებოდა ღია გაკვეთილები და გამოვლინდა „საუკეთესო გაკვეთილი“, მასწავლებლებმა მიიღეს კრედიტ ქულები. სკოლების უმრავლესობა ჩართულია „ეტალონის“ პროექტში, რომელიც საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს. ჩვენი სკოლები ჩართული არიან ქართულ-ესტონურ საგანმანათლებლო პროექტში, რომლის ფარგლებშიც ჩვენი მუნიციპალიტეტის სამი საჯარო სკოლის ხელმძღვანელობა გაემგზავრა ესტონეთში.

ჩვენი სკოლები, ასევე, ჩართული არიან პროექტ „მე ომბუდსმენი“.

საჯარო სკოლების შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს ქალაქ საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის, სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის პატარძეულის საჯარო სკოლის, ბადიაურის და კაკაბეთის საჯარო სკოლებში.

„მედიაპროექტ-2017“-ის გამარჯვებული უდაბნოს საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე ტატო ჩართოლანი

კოჭბანის საჯარო სკოლის მოსწავლეები

სკოლამდელი აღზრდა-2017

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი
ელზა გილაშვილი:

მოწესრიგდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პრობლემები

წელი-2018+მზადება ავტორიზაციისა და პედაგოგთა გადამზადებისათვის

– **საგარეჯოს** მუნიციპალიტეტში 28 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება და ლამბალოში ორი ალტერნატიული ჯგუფია. დაწესებულებებში 1400 ბავშვია დარეგისტრირებული, დაფინანსება გვაქვს 1265 ბავშვზე. ჩვენი აღსაზრდელების აღზრდაზე 344 თანამშრომელი ვართ დასაქმებული,აქედან 9 ადამიანი ადმინისტრაციაში, ხოლო 335 – სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. მათგან მენეჯერია – 28, აღმზრდელი – 64, 63 – აღმზრდელის თანაშემწე. ასევე, აღსაზრდელებს 13 ფსიქოლოგი, 11 ლოგოპედი, 5 მეთოდისტი, 17 მუსიკის მასწავლებელი ემსახურება. ჩვენი, სკოლამდელი აღზრდის ყველა დაწესებულებას მედდა ემსახურება. 143 კი ტექპერსონალია.

ჩვენი აღსაზრდელები 63 სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფში არიან გაერთიანებული.

– ქ-ნო ელზა, ახალი, 2017-2018 სასწავლო წლისათვის თუ იყო შემუშავებული ახალი სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა?

– საერთოდ, ახალი სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ჯერჯერობით არ შემუშავებულა. ჩვენ ვხელმძღვანელობთ 2012 წელს შემუშავებული სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით და 2016 წლის სასკოლო მზაობის პროგრამით. 2017 წლის სექტემბრისთვის შემუშავდა: ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტი, აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, სკოლამდელი დაწესებულების პროგრამის ხარისხის სტანდარტი და სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი. აღნიშნული ყველა სტანდარტი ჩვენი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მენეჯერებთან და აღსაზრდელებთან ერთად განვიხილეთ.

საერთოდ, ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ახალი სასწავლო გეგმები დგება გაერთიანების ადმინისტრაციაშიც და თითოეული დაწესებულების მენეჯერის მიერაც. სწორედ ამ გეგმების მიხედვით ხორციელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი. მთელი წლის განმავლობაში დაგეგმილია და ტარდება ღია მეცადინეობები და ღონისძიებები პროგრამით გათვალისწინებულ სხვადასხვა თემებზე.

– მთელი სასწავლო-სააღმზრდელო წლის მანძილზე ჩვენი გაზეთის საშუალებით გაზეთის მკითხველი აქტიურად ადევნებდა ჩვენი გაზეთის საშუალებით გაზეთის მკითხველი აქტიურად ადევნებდა თვალს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მიმდინარე თუ უკვე ჩატარებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ერთხელ კიდევ მიმოვიხილავთ ამ მნიშვნელოვან, სასიკეთო საქმეებს...

– დიახ. მოგეხსენებათ, ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ამ მხრივ საქმე მართლაც საამაყოდ გვაქვს.

2017 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდა მანავის №2 (ე.წ. „ბურდიანის დასახლების“) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (მენეჯერი მაია მირზაშვილი) სრული რეაბილიტაცია. აღნიშნული დაწესებულება გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო აშენებული და უკვე იმდენად დაზიანებული, რომ მათი დროებით გადმოყვანა მანავის №1 სააღმზრდელო დაწესებულებაში მოგვიხდა. რეაბილიტირებასთან ერთად, აქ მოეწყო ცენტრალური გათბობაც; საგარეჯოს №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (მენეჯერი თამარ ლაფერიშვილი) შენობის შესასვლელი გადაიხურა და მოხდა სველი წერტილების რეაბილიტაცია; საგარეჯოს №4 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (მენეჯერი ლილი ლოლაძე) ჩატარდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, №5 დაწესებულებაში (მენეჯერი მაია კოხტაშვილი) – გადაიხურა შენობის შესასვლელი; საგარეჯოს №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (მენეჯერი მზია ბეჟიტაშვილი) – დარბაზში მოეწყო ტიხარი და კაპიტალურად გარემონტდა სამზარეულო; საგარეჯოს №6 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (მენეჯერი ეკა დარისპანაშვილი) – მოეწყო სამრეცხაო ნიჟარა; მზისგულის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (მენეჯერი მანანა ფილაური) მოხდა შენობის შესასვლელის გადახურვა და სველი წერტილების რეაბილიტაცია; კაკაბეთის №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (მენეჯერი ლეილა ამბარდნიშვილი) ჩატარდა სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ვერხვიანში (მენეჯერი ვერიკო საგინაშვილი) – სამზარეულოს რეაბილიტაცია; წყაროსთავში (მენეჯერი რიტა ბაქანიძე) – საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია; პატარა ჩაილურში (მენეჯერი მარინა შანიძე) – შენობის შესასვლელის რეაბილიტაცია;

მანავის №2 საბავშვო ბაღი

ნინოწმინდის ახლადრეაბილიტირებული-საბავშვო ბაღის გახსნაზე

ყანდაურის საბავშვო ბაღი

ნინოწმინდის საბავშვო ბაღი

რაც ყველაზე სასიხარულო იყო ჩვენი აღსაზრდელების, მათი მშობლების და უპირველეს ყოვლისა, აღმზრდელ-პედაგოგებისა, ეს არის რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ეზოს სათამაშოების დამონტაჟება. ასევე, ახლახანს ყველამ ნახა ნინოწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (მენეჯერი მანანა ასრათაშვილი) შენობის ფართომასშტაბიანი რეაბილიტაცია, რაზედაც რეგიონული განვითარების ფონდიდან 227580 ლარი გაიხარჯა. ჩვენი გაერთიანების სუფსიდიიდან ჩატარდა: საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია გომბორის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (მენეჯერი თამარ ნეკრესელაშვილი); გარემონტდა სტიქიის შედეგად დაზიანებული ჩვენი გაერთიანების ადმინისტრაციის ოთახი; მოეწყო ელექტროენერგიის ახალი მრიცხველი ნინოწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში; შევიძინეთ საოჯახო ტექნიკა – მაცივარი, წყლის გამაცხელებელი და ა.შ. სკოლამდელი აღზრდის ყველა დაწესებულებისათვის შევიძინეთ სათამაშოები და ასევე დავამზადებინეთ საევაკუაციო გეგმები ყველა დაწესებულებისათვის.

– რაც შეეხება ავეჯს...

– სიმართლე გითხრათ, 2017 წელს ახალი ავეჯის შესყიდვა ყველა დაწესებულებისათვის არ მომხდარა. ავეჯი ჩვენ შევიძინეთ მხოლოდ ლამბალოს №1 (მენეჯერი თეა გურგენიძე) და საგარეჯოს №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის.

– ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა გაზრდილმა კონტიგენტმა დღის წესრიგში ახალი დაწესებულების გახსნა დააყენა...

– გეთანხმებით. როგორც თქვენთვის ცნობილია, ლამბალოში ორი ასეთი დაწესებულება ფუნქციონირებს. დუზაგრამაში ახალ სასწავლო წლის დასაწყისში დაფუძნდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი საიდა ალიევა) ერთი ჯგუფით, 35 ბავშვზე დაფინანსებით.

– მომავლის საკეთებელზე რას იტყვით?

– მართლაც კარგი საქმეების გაკეთებაა დაგეგმილი 2018 წელს. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ჩვენს მუნიციპალიტეტში დაგეგმილი აქვს კიდევ ორი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აშენება. საუბარია და უკვე გადაწყვეტილია სოფელ სათაფლესა და სოფელ კოჭბანში ახალი შენობების აშენება. მოგეხსენებათ სოფელ სათაფლეში ათეული წლების წინ ფუნქციონირებდა საბავშვო ბაღიც და სკოლაც. მაგრამ ამ ეტაპზე იქ არც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა და არც სკოლა. იქაური აღსაზრდელები ან სახლებში არიან, ან სართიჭალის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დადიან ყოველდღე. ზოგიერთი ოჯახი კი ამის გამო რუსთავსა და თბილისშიც კი გადავიდა საცხოვრებლად. ასეთივე სიტუაციაა ამ მხრივ კოჭბანშიც. იქ გასული საუკუნის 80-იან წლებში აშენდა შენობა საბავშვო ბაღის დანიშნულებით,მაგრამ შემდეგ შიგ სკოლა განთავსდა. იქაური ბავშვები უჯარმის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დადიან მას შემდეგ.

სასიხარულოა ისიც,რომ 2018 წელს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება საგარეჯოს №5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას. ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია პატარძეულის №2 (მენეჯერი ეკა ახვერდაშვილი) და კაკაბეთის №2 (მენეჯერი მაყვალა მეურმიშვილი) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რეკონსტრუქცია-შეკეთება; დაწესებულებებში დაემატა მუსიკის 8 მასწავლებელი და 3 მზარეულის თანაშემწე; დაგეგმილია სკოლამდელი გაერთიანების თანამშრომელთა ხელფასების ზრდა.

მომავალი, 2018 წლიდან დაიწყება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მომზადება ავტორიზაციისათვის და დაწესებულების აღმზრდელთა გადამზადება აღმზრდელ-პედაგოგის კვალიფიკაციის მისაღებად.

– თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ მართლაც ბევრი სასიკეთო საკითხის მოგვარებაა დასახული. წარმატებებს გისურვებთ სამომავლოდ საქმის საკეთებლად.

– გმადლობთ!

ინფრასტრუქტურა-2017 2018-შიც გრძელდება



მილოცვა

შოგა-ახალი წლის დადგომას ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს **გიორგი ერგოფონაშვილს**, მერის მოადგილეებს **ლევანს გილაშვილს, პაატა ასრათაშვილს, მერიის სამსახურის თანამშრომლებს.**

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, საქვეყნო საქმეების უნარიანად და წარმატებით გაძღოლას.

მადლობას გიხდით ჩვენი, მანავის თემის მოსახლეობისათვის გამოჩენილი ყურადღებისათვის – ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების საქმეში აქტიური მუშაობისათვის.

მანავის თემის მოსახლეობის სახელით მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი მანავის თემში

დიმიტრი საბაშვილი.

საახალწლო მილოცვა

ძალბატონებო: რუსიკო, თინიკო, სოფო, ქეთი, თამრიკო, ლალი, მზია, ნათელა, ლეილა და სხვები.

ბატონებო: გიორგი, ძაგული, არჩილი, ნუგზარი, ილო, პაატა და სხვები.

თქვენი სიცოცხლის 120 გზა გაგევლოთ ტკბილად, სიხარულით, უბედურების, მწუხარების გარეშე, შეგნებულო, პატიოსანო, თავაზიანო ადამიანებო. იმრავლოს თქვენი ბუნების მქონე ხალხმა მთელ პლანეტაზე, საქართველოში.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

გივი კარანაძე,

კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი, 95 წლის პერსონალური პენსიონერი, სამამულო ომის veტერანი, .

წარმატებული სპორტში, სწავლაში
ელვინ ქაზუმოვი – მსოფლიო ჩემპიონი

2017 წლის დამამთავრებელი თვის პირველი რიცხვები ოქროს ასოებით ჩაიწერა იორმუღანლოს საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლისა და იორმუღანლოში არსებული კიკბოქსინგისა და K-1 საბრძოლო ხელოვნების წრის წარმატებული მოჩხუბარის ელვინ ქაზუმოვის სპორტულ ბიოგრაფიაში. 4-10 დეკემბერს თურქეთის ქ. სტამბოლში კიკბოქსინგისა და K-1 საბრძოლო ხელოვნებაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელშიც უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, თურქეთისა და სხვა – სულ 17 ქვეყნის უძლიერესი მოჩხუბრები იღებდნენ მონაწილეობას, ელვინმა უძლიერესი მოჩხუბრისა და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ჩვენი აზერბაიჯანელი თანამემამულე-მოჩხუბარი 2001 წელს, სოფელ მუღანლოში დაიბადა. მუღანლოს საჯარო სკოლის V კლასში სწავლისას დაინტერესდა კიკბოქსინგით, რომელსაც ამავე სკოლაში თავიანთი ხელით მოწყობილ სპორტულ დარბაზში ასწავლიდა მწვრთნელი, მსოფლიოს, ევროპისა და სხვა საერთაშორისო შეჯიბრების არაერთგზის ჩემპიონი იბრაჰიმ მამედოვი.

მეტად პრიმიტიული იყო ეს სპორტული დარბაზი და იქ არსებული სავარჯიშო იარაღები, ნორმალური იატაკიც არ ჰქონდა, მაგრამ შემართება ჰქონდათ აქ სავარჯიშოდ მოსულ ბიჭებს ისეთი, რომ ის დაბრკოლებები ხელს როგორ შეუშლიდათ ვარჯიშში. მას შემდეგ მიუყვება ელვინი თავის ამორჩეულ სპორტულ გზას წარმატებისაკენ და შეძლო ბევრი სპორტული ასპარეზობის გამარჯვებული გამხდარიყო: არის თბილისის ჩემპიონატის, საქართველოს პირველობის ჩემპიონი, აზიის ერთგზის და მსოფლიო დიპლომანტების სამგზის ჩემპიონი. მისთვის ნამდვილად საამაყოა ისიც, რომ არის საქართველოს კიკბოქსინგისა და K-1 საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაციის ნომერ პირველი მოჩხუბარი 48 კგ წონით კატეგორიაში. როგორც სტამბოლიდან დაბრუნებულმა ელვინმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, 48 კგ-ს ნაცვლად, ასპარეზობამ 51 კგ წონით კატეგორიაში მოუწია. საფინალო ორთაბრძოლის გამართვა მას უზბეკეთის უძლიერეს წარმომადგენლებთან მოუხდა, რომელიც ქულებით დაამარცხა.

– მეტად ძლიერი მეტოქე მყავდა და ამიტომ ნოკაუტში მისი გაგზავნა ვერ მოვახერხეო, – გულწრფელად განაცხადა მან. მსოფლიო ჩემპიონი ცოტა არ იყოს განაწყენებულია იმითაც, რომ ოქროს მედლის ნაცვლად უბრალო მედლით დაჯილდოებით შემოიფარგლნენ შეჯიბრების ორგანიზატორები, თუმცა, ეს ხელს როდი შეუშლის იმაში, რომ ბოლომდე გაჰყვეს ერთხელ ამორჩეულ გზას. მას გადაწყვეტილი აქვს კიკბოქსინგს დაუკავშიროს თავისი მომავალი ცხოვრება და საქმიანობა, რისთვისაც წინ კიდევ გზა და წლები აქვს გასავლელი.

მსოფლიო ჩემპიონის სპორტულ საქმიანობასთან ერთად მისი სწავლითაც დავინტერესდით. როგორც აღმოჩნდა, სპორტულთან ერთად ამ მხრივაც საინტერესო ცხოვრება ჰქონია. მუღანლოს შემდეგ ორი წელი ბადიაურის საჯარო სკოლაში უსწავლია, 2016 წელს კი, მამის საქმიანობიდან გამომდინარე, ერთი წელი ზუგდიდში სწავლობდა, მიმდინარე წელს კი ზუგდიდიდან იორმუღანლოს საჯარო სკოლაში გადმოვიდა სასწავლებლად. კარგად ფლობს ქართულ ენას.

– ელვინ ქაზუმოვი ძალზე ყურადღებიანი, ზრდილობიანი და მოწესრიგებული მოსწავლეა. ყველა მასწავლებელი კმაყოფილია მისი სწავლითა და მონდომებით. ძალიან მეგობრულია და კარგი ურთიერთობა აქვს თავის კლასელებთან და თანატოლებთან, ამიტომაცაა, რომ მართალია, წელს გადმოვიდა ჩვენს სკოლაში სასწავლებლად, უკვე მოიპოვა მასწავლებლებისა და თანატოლების დიდი სიყვარული და პატივისცემა, – ასე დაგვიხასიათა ელვინი მისი ქართული ენის მასწავლებელმა და კლასის დამრიგებელმა იზოლდა ყანდინაშვილმა.

სკოლის დირექციასა და ადმინისტრაციასაც საამაყოდ აქვს გამხდარი ასეთი სახელოვანი მოსწავლე. როგორც სკოლის დირექტორმა ვაგიფ ახმედოვმა აღნიშნა, კარგი შედეგისათვის ამ საახალწლოდ ელვინის ფასიანი საჩუქრით დაჯილდოებასაც გეგმავენ. აქვე გაირკვა , რომ ამ სკოლის კიდევ ორი მოსწავლე ელმარ ჯივიროვი და ვაგიფ იოლჩიევი „ვერცხლის“ პრიზიორები გამხდარან ამავე ჩემპიონატში.

გოგი დაგახიშვილი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია თანაგრძნობას უცხადებს ამავე მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსს თინათინ ძაბილაშვილს დის

მარინე ძაბილაშვილის

გარდაცვალების გამო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაგრძნობას უცხადებს ამავე მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსს თინათინ ძაბილაშვილს დის

მარინე ძაბილაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პარლამენტის წევრის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის საგარეჯოს ბიურო თანაგრძნობას უცხადებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსს თინათინ ძაბილაშვილს დის

მარინე ძაბილაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსს თინათინ ძაბილაშვილს დის

მარინე ძაბილაშვილის

გარდაცვალების გამო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების სამსახურის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სამსახურის უფროსს თინათინ ძაბილაშვილს დის

მარინე ძაბილაშვილის

გარდაცვალების გამო.

თანაკლასელები თინა ილაური, დალი როსტომაშვილი, დალი გუსარიშვილი, ციალა დარისპანაშვილი, ელენე სამხთუაშვილი, ნანა ყორდანაშვილი, სოსო გოგიტაშვილი, ვანო ჭიაბერაშვილი, ზურაბ ბაირამაშვილი, გია ანუაშვილი, მიტო ტიგინაშვილი, ნოდარ გრატიაშვილი, ნუგზარ აზარიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნოდარ ძაბილაშვილს დის

მარინე ძაბილაშვილის

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

ნიკა ბეჭანიშვილი



წელიწადი და 8 თვეა, რაც ჩვენი ოჯახიდან წახვედი, ჩემო უსაყვარლესო, ჩემო გაუხარელო ნიკა. სიცოცხლე და სიხარული გინდოდა შენს მშობლებთან, შენს ბიძაშვილებთან, შენს მამიდაშვილებთან, ბებოსთან და პაპასთან, მაგრამ... ვერაგმა ავარიამ შენც დაგკარგა და შენი მანქანაც უფსკრულში გადაჩეხა. ნეტა მანამდე გადავარდნილიყო შენი მანქანა, სანამ შენც გაგიყოლებდა, ჩემო უძვირფასესო, სიცოცხლით სავსე ნიკა. შენზე ფიქრით გადაღლილმა, შვილო, სიზმარში გნახე: ცენტრში ბევრ ბიჭებთან იდექი და დაგიძახე – ნიკა, მაშინვე ჩემთან გამოიქეცი. შვილო, რაშია საქმე, ამდენი ბიჭები რად ხართ შეკრებილები-მეთქი, – გკითხე და მითხარი – ჯარში მივდივართ ბებიო. ძველი რაიკომის შენობის მაღაზიაში ელემენტები მიყიდეო. ახლავე, შვილო-მეთქი და წავედი, მაგრამ, იქამდე ვეღარ მივაღწიე, გამომეღვიძა. ნეტა რისთვის გინდოდა ელემენტები? ნეტავ, ცოცხალი ყოფილიყავი და ჯარში გემსახურა, ჩემო სიცოცხლით გაუხარელო, ჩემო ნიკა. შენი ბიძაშვილი გიგა წავიდა შვილო დედასთან, საზღვარგარეთ. ნეტა ადრე წასულიყო, სანამდე ეს ამბავი მოგივიდოდათ, ამხანაგების ჯგუფი არ გექნებოდათ და არც ავარია მოგივიდოდათ. ნიკა, ჯარის სურათით უნდა გამოგიშვა გაზეთში, ჩემო საყვარელო. მეორედ მოდის ახალი წელი უშენოდ, ჩვენი ოჯახი უშენოდ აღარ ვარგობს, შენ შემოგქონდა სილამაზე, სიხარული და სიყვარული.

მინდა მოგილოცო ახალი წელი. ნათელში იყოს შენი კეთილი სული, ჩემო გიჟმაჟო, ჩემო უყისმათო და სიცოცხლით გაუხარელო შვილო – ნიკა „მალაკანა“ ბეჭანიშვილო.

ანგელინა გეგიო

რობიზონ (რობა) როსტიაშვილი

ჩემო საყვარელო რობა! მინდა ახალი, 2018 წელი მოგილოცო.



ყოველი ახალი წლის მოსვლა მიხარია, რადგან ჩვენი – დედა-შვილის შეხვედრის დრო უფრო და უფრო ახლოვდება.

მინდა, შვილო, სულ განათებულ და მშვიდობიან სამყაროში იყოს შენი სული!

„რა ძლიერ მცივა,
და ტანში მყინავს,
ეს ზამთარია და მონატრება,
მე მენატრება ის სხვა ზამთრები,
როცა ვიყავით ჩვენ კიდევ ერთად.
იმ ზამთრებს თითქოს
არ ჰქონდა სუსხი,
ჩვენ ყველა მაშინ
ვათბობდით ერთურთს.
ახლა კი როცა მე დავრჩი მარტო,
შენ წახვედი და გახლიჩე გული,
მე მუდამ მცივა და კიდევ მტკივა.
მიდის წლები და დრონიც იცვლება.
გაზაფხულია, მერე – ზაფხული,
შემოდგომა და კვლავ ზამთარია.
მაგრამ, რა ხდება, რა მემართება?!
ჩემს გულში კარგო, სულ ზამთარია.
დათოვლილია ეს ჩემი თმები,
გულში კი მუდამ ცივი ქარია.
რა ძლიერ მცივა, რა ძლიერ მიმძიმს,
ამ ცხოვრებაში სულ დავიკარგე,
დავეხეტები, როგორ ეულად –
ფრთებდამტვრეული ბედურასავით.
მე შენ დაგეძებ, მე შენ გეძახი,
შენ დამეკარგე, ვერსად ვერ გნახე.
გავყურებ გზას და არსად არა ხარ,
აღარ მოდიხარ, გულსაც არ მითბობ,
დედა დაკარგე და გადასახლდი
სხვა სამყაროში, სხვა ქვეყანაში.
სახლიც სხვაგან გაქვს, დედასთან არა,
მიჭირს მე მოსვლა შენს ახალ სახლში.
ყველგან შენა ხარ, მაგრამ ვერ გხედავ,
თითქოს მეძახი, თითქოს – მიცინი,
თითქოს მოდიხარ და მეხუტები,
მაგრამ მოვტყუვდი, ირგვლივ ქვებია.
ამ ქვებს ვუყურებ და გული მტკივა,
გაყინულია შენი სიცილი,
შენი სხეულიც გაყინულია.
ნუთუ არ გცივა, სახლში არ გინდა,
დედას გული ხომ შენ გელოდება,
მოდი დედასთან ორივე გავთბეთ,
მაგრამ, არ გესმის და არ მოდიხარ.
შენ აირჩიე შენი სამყარო,
მეც მინდა შენთან და გზას დავეძებ,
იმ გზის პირდაპირ, შენთან რომ მოვალ.
მშვიდად იყავი და დამელოდე,
დღეს არა, ხვალ ხომ ვიპოვი იმ გზას
და მოვალ შენთან, რომ ჩაგეხუტო.
მერე ძლიერად ჩაგეჭიდები,
აღარ გამექცე, არ დამეკარგო,
ჩემს გულშიც გაჩნდეს ისევ ზაფხული.
ასე განვაგრძოთ მერე ცხოვრება
ჩვენ – დედა-შვილმა, მონატრებულმა!!!

დედა

მანანა ქოქიაური-როსტიაშვილი

2018 წელი

	იანვარი					თებერვალი					მარტი					აპრილი				
ორშაბათი																				
სამშაბათი	1	8	15	22	29		5	12	19	26		5	12	19	26		2	9	16	23	30
ოთხშაბათი	2	9	16	23	30		6	13	20	27		6	13	20	27		3	10	17	24	
ხუთშაბათი	3	10	17	24	31		7	14	21	28		7	14	21	28		4	11	18	25	
პარასკევი	4	11	18	25		1	8	15	22		1	8	15	22	29		5	12	19	26	
შაბათი	5	12	19	26		2	9	16	23		2	9	16	23	30		6	13	20	27	
კვირა	6	13	20	27		3	10	17	24		3	10	17	24	31		7	14	21	28	
	7	14	21	28		4	11	18	25		4	11	18	25		1	8	15	22	29	

	მაისი					ივნისი					ივლისი					აგვისტო				
ორშაბათი																				
სამშაბათი		7	14	21	28		4	11	18	25		2	9	16	23	30		6	13	20	27
ოთხშაბათი	1	8	15	22	29		5	12	19	26		3	10	17	24	31		7	14	21	28
ხუთშაბათი	2	9	16	23	30		6	13	20	27		4	11	18	25		1	8	15	22	29
პარასკევი	3	10	17	24	31		7	14	21	28		5	12	19	26		2	9	16	23	30
შაბათი	4	11	18	25		1	8	15	22	29		6	13	20	27		3	10	17	24	31
კვირა	5	12	19	26		2	9	16	23	30		7	14	21	28		4	11	18	25	
	6	13	20	27		3	10	17	24		1	8	15	22	29		5	12	19	26	

	სექტემბერი					ოქტომბერი					ნოემბერი					დეკემბერი				
ორშაბათი		3	10	17	24	1	8	15	22	29		5	12	19	26		3	10	17	24	31
სამშაბათი		4	11	18	25	2	9	16	23	30		6	13	20	27		4	11	18	25	
ოთხშაბათი		5	12	19	26	3	10	17	24	31		7	14	21	28		5	12	19	26	
ხუთშაბათი		6	13	20	27	4	11	18	25		1	8	15	22	29		6	13	20	27	
პარასკევი		7	14	21	28	5	12	19	26		2	9	16	23	30		7	14	21	28	
შაბათი	1	8	15	22	29	6	13	20	27		3	10	17	24		1	8	15	22	29	
კვირა	2	9	16	23	30	7	14	21	28		4	11	18	25		2	9	16	23	30	

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru